ბრძანება

16 იანვარი 2018 წ. თბილისი № 07/01

2017/2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან სტუდენტების მობილობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის, საქართველოს განათ-ლებისა და მეცნიერების მინისტრის N10/ნ, 04.02.2010 ბრძანების, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული **ცენტრის დირექტორის N837 (29.12. 2017)** ბრძანების შესაბამისად, 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან სტუდენტების მობილობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განსაზღვრის მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

I. 2017/2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გადმოყვანის წესით სტუდენტთა ჩარიცხვა განხორციელდეს დადგენილი წესით რეგისტრირებულ და გამოქვეყნებულ უნივერსიტეტში არსებულ ვაკანტურ ადგილებზე, მათ შორის:

1) დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე (ერთსაფეხურიანი სამედიცინო განათლება):
   1.ქართულენოვანი სწავლება - 20 ადგილი;
   2.ინგლისურენოვანი სწავლება - 20 ადგილი;
   3. რუსულენოვანი სწავლება – 5 ადგილი;
2) დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (ერთსაფეხურიანი სამედიცინო განათლება) – 5 ადგილი;
3) დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე (ერთსაფეხურიანი სამედიცინო განათლება) – 80 ადგილი;
   დიპლომირებული სტომატოლოგი (ინგლისურენოვანი)–5 ადგილი;
   დიპლომირებული სტომატოლოგი (რუსულენოვანი)– 10 ადგილი;
4) საზოგადოებრივი ჯანდაცვის საბაკალავრო პროგრამაზე - 10 ადგილი;
   საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მენეჯმენტის (ქართულ-ფრანგული) საბაკალავრო პროგრამაზე - 5ადგილი;
5) ფარმაციის საბაკალავრო პროგრამაზე (ქართულენოვანი) – 20 ადგილი;
   ფარმაციის საბაკალავრო პროგრამაზე (ინგლისურენოვანი)– 10 ადგილი;
6) ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამაზე – 15 ადგილი
7) საექთნო საქმის ბაკალავრის (ექთანი) საგანმანათლებლო პროგრამაზე – 5 ადგილი;
8) საექთნო საქმის ბაკალავრის (ბებიაქალი) საგანმანათლებლო პროგრამაზე – 5 ადგილი;

II.გადმოყვანის წესით ჩარიცხვის მსურველმა თსსუ-ის შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატში **2018 წლის 6-8 თებერვალს** უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

1. მოტივირებული განცხადება სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის სახელზე;
2. საშუალო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;
3. სრული ამონაწერი სტუდენტის სასწავლო ბარათიდან;
4. ვაჟებისათვის - სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი;
5. მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;
6. ორი ფოტოსურათი (3X4, ელექტრონული ვერსიაც);
7. ცნობა შეფასებისა და საგამოცდო ეროვნული ცენტრიდან ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული შეფასებების შესახებ;

III. პრეტენდენტების განცხადებების და დოკუმენტაციის რეგისტრაციის, გადმოყვანის წესით ჩარიცხვის მსურველ პირთა საბუთების შესწავლისა და სტუდენტის მიერ ათვისებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური ცნობის შესახებ მოტივირებული გადაწყვეტილების მიღების მიზნით შეიქმნას სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მობილობის მსურველის ცოდნისა და უნარების საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობის დამდგენი კომისია (შემდგომში კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

1. ხათუნა თოდაძე - ვიცე-რექტორი;
2. რიმა ბერიაშვილი - ვიცე-რექტორი;
3. ირინე კვაჭაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
4. თინათინ ჩიქოვანი - მედიცინის ფაკულტეტის დეკანი;
5. სამსონ მღებრიშვილი - სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანი;
6. დალი ბერაშვილი - ფარმაციის ფაკულტეტის დეკანი;
7. ირაკლი მჭედლიშვილი - საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი;
8. ლელა მასხულია - ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანი;
9. რუსუდან რუხაძე - სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასებისა და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსი;

IV. კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულ მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის ფარგლებში, სტუდენტთა გადმოყვანის წესით ჩარიცხვისათვის აუცილებელია:

1) კომისიის მოტივირებული დასკვნა იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პროგრამის აკადემიური ცნობის შესახებ, რომელშიც პირი სწავლობდა, მის მიერ მიღებული სავალდებულო კრედიტსაათების გათვალისწინებით;
2) მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველ საქართველოს მოქალაქეებს ჩარიცხვის წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარებული უნდა ჰქონდეთ შესაბამის წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შესაბამისი საგანამანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული საგნები და თითოეულ მათგანში გადალახული უნდა ჰქონდეთ თსსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

შენიშვნა:

*ა. **სტომატოლოგიის ფაკულტეტზე** მობილობის წესით გადმომსვლელ სტუდენტებს ჩარიცხვის წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარებული უნდა ჰქონდეთ*

შესაბამის წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის საგანამანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული საგნები და თითოეულ მათგანში გადალახული უნდა ჰქონდეთ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე სახელმწიფოს მიერ დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

ბ.დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამაზე *მობილობის წესით გადმომსვლელ სტუდენტებს ჩარიცხვის წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარებული უნდა ჰქონდეთ შესაბამის წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული საგანამანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული საგნები და თითოეულ მათგანში გადალახული უნდა ჰქონდეთ თსსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. 2016/2017 სასწავლო წელს ჩარიცხული სტუდენტებისთვის ქართული ენა და ლიტერატურის საგნის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვროს 50%+1.*

V. სტუდენტთა გადმოყვანის წესით ჩარიცხვის ბრძანების პროექტი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს გადაეცემა კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გადმოყვანის წესით სტუდენტთა ჩარიცხვის თაობაზე კომისიის დასკვნის წარმოდგენის შემთხვევაში.

VI. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დადებითი დასკვნის, თსსუ-ის მიერ დადგენილი სწავლის საფასურის გადახდისა და სტუდენტის პირადი საქმის წარმოდგენის საფუძვლებზე, თსსუ-ის რექტორი გამოსცემს "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გადმოყვანის წესით სტუდენტთა ჩარიცხვის თაობაზე" ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც გამოცემიდან 3 დღის ვადაში იგზავნება განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში და შესაბამისი სტუდენტის მობილობა აისახება რეესტრში.

VII .დაევალოს კანცელარიას (ნ.ჩიხრაძე) უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის თვალსაჩინო ადგილას.

VIII. დაევალოს საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამსახურს (თ. სტეფანიშვილი) წინამდებარე ბრძანების განთავსება თსსუ-ის ვებგვერდზე.

IX. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.

X. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია
რექტორი